საქართველოს მთავრობის

დადგენილება №172

2021 წლის 16 აპრილი

ქ. თბილისი

„სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №173 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 12 აპრილის №173 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 15/04/2011, 340120000.10.003.016333) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „სასოფლო-სამეურნეო პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათესი და სარგავი მასალების ნუსხით“ გათვალისწინებული „პესტიციდების და აგროქიმიკატების“ ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პესტიციდები და აგროქიმიკატები:

ნომენკლატურის სასაქონლო კოდი	საქონლის დასახელება	შენიშვნა
3808 61 000 00 3808 62 000 00 3808 69 000 00	პესტიციდები დაფასოებული	
3808 92 100 00	პრეპარატები სპილენძის ნაერთების ფუძეზე	
3808 99 100 00	როდენტიციდები	
3808 99 900 00	პესტიციდები დანარჩენი	
3102 80 000 00	შარდოვანასა და ამონიუმის ნიტრატის ნარევები წყალხსნარში ან ამონიუმის ხსნარში	
3102 10 100 00	სასუქი შარდოვანა, მათ შორის, წყალხსნარში, აზოტის შემცველობით 45 მას. %-ზე მეტი, მშრალ უწყლო პროდუქტზე გადაანგარიშებით	
3102 60 000 00	კალციუმის ნიტრატისა და ამონიუმის ნიტრატის ორმაგი მარილები და ნარევები	
2833 25 000 00	სპილენძის სულფატი	

“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**